

## XVI თავი

### აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები

(განახლებული რედაქცია - თებერვალი, 2022 წ)

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 2) მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) 2.32 ქვეპუნტის თანახმად, პლაგიატი განმარტებულია, როგორ აკადემიური არაკეთილსინდისიერება.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N27) განისაზღვრება ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, მექანიზმები, დარღვევის სახეები, მასზე რეაგირების პროცედურა და სანქციები;

ბსუ სარგებლობს ანტიპლაგის პროგრამით (ტურნიტინი/Turnitin), რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს შეამოწმოს სტუდენტთა ნაშრომები შესაძლო ტექსტუალური დამთხვევების თაობაზე, ინტერნეტში არსებული რესურსებისა და საკუთარი მონაცემთა ბაზის მიხედვით.

აღნიშნული პროგრამის მართვა/ოპერირება ხორციელდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 ივნისის N06-01/45 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესის“ შესაბამისად (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N33).

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ეთიკის კოდექსის“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 7) თანახმად ბსუ-ს სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის ერთ-ერთი ვალდებულებაა გამოავლინოს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევა (არსებობის შემთხვევაში), კომპეტენციის ფარგლებში გამოიკვლიოს გამომწვევი მიზეზი და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედების აღსაკვეთად.